საქართველოს მთავრობის

დადგენილება №319

2025 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

„პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2021, 010240010.10.003.023202) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის 12^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12^1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – დაზვერვის სააგენტო;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**